პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 179 (10265) | შაბათი, 30 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია

სოციალისტური სოფლის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ერთსულოვნად დაირაზმნენ მათი განხორციელებისათვის სამრეწველო-ფინანსური ბრძოლისათვის. პლენუმმა მოუწოდა კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს თავდადებული შრომით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვნად გადიდება.

ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ენიჭებათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რომლებიც საკომეურნეო წყობილების ინდუსტრიულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენენ.

მტს-ების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე. მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა გააჩაღოს მექანიზატორთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, დარაზმოს კოლექტივი მდიდარი ტექნიკის რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერებით გამოყენებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, მეუნელებლად იზრუნოს იმისათვის, რომ კომბაინერებს და ტრაქტორისტებს, ყველა მექანიზატორს შექმნილი აქონდეთ პირობები მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

ბევრი მტს-ის პარტიული ორგანიზაცია იძლევა მუშაობის კარგ მაგალითს. ასე ითქმის ასურეთის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის შესახებ (პარტბიუროს მდივანი კ. წულუკიძე), რომელიც ორმად სწვდება წარმოების საკითხებს და სათავეში უდგას მექანიზატორებისა და სპეციალისტების შრომითს აქტივობას. ის, რომ მტს-ი გადაჭარბებით ასრულებს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, ხოლო კომბაინების და სხვა მანქანების სამუალო დღიური დატვირთვა საგრძნობლად აღემატება დაწესებულ ნორმებს, პარტორგანიზაციის უნარიანი მუშაობითაც აიხსნება. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად განიხილავს და ქმედითად წყვეტს მტს-ის მუშაობის ძირეულ საკითხებს, ბრძვის ტექნიკის სანიმუშოდ გამოყენებისათვის, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე ტექნიკის წარმოებაში დანერგვისათვის.

მოსავლის აღების დღეებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად პარტორგანიზაციამ კომბაინის ყველა აგრეგატზე გამოჰყო აგიტატორი. ისინი მექანიზატორებს ესაუბრებიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებზე, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, ხელს უწყობენ შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინებას და გამოყენებას. აგიტატორები დიდ ყურადღებას აქცევენ შესრულებული სამუშაოს ხარისხს, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას.

კარგად მოაწყეს მუშაობა აგრეთვე ქედის, ულიანოვკის, სტალინირის მტს-ების პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სატრაქტორო ბრიგადებში, საველე კალოებზე, სახელოსნოებში ყოველდღე ეწევიან მიზანდასახულ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და გაუწყვეტლივ ზრდიან მექანიზატორთა შრომითს აქტივობას. ამავე დროს ფაქტები მოწმობენ, რომ მტს-ის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი გარდაქმნა თავისი მუშაობა ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ვერ ახერხებს გადაწყვიტოს მტს-ის მუშაობის ძირეული საკითხები, რადგან ღრმად ვერ სწვდება წარმოებას და ზერელე დამოკიდებულებას იჩენს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი. პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგია, რომ ზოგიერთ მტს-ში ძველებურად გატაცებული არიან გეგმის შესრულებით რბილ ხვნაზე გადაყვანით — იოლად შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯზე, რომ ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ არსებულ ტექნიკას. ეს ითქმის, კერძოდ, ტყვიავის, ზნაურის, ახალქალაქის, მარნეულის, ვაზიანის, ქსუისის და მთელ რიგ სხვა მტს-ებზე.

ამჟამად სოფლად ყველაზე ცხარე მუშაობის დროა — გაჩაღებულია მოსავლის აღება, მომდინარეობს სათოხნი კულტურების დამუშავება, ბალახების თიბვა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა. რესპუბლიკის კომბაინერები და მექანიზატორები ჩაებნენ მოსავლის აღების ათ დღეში დამთავრებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის ინიციატორია წითლის მტს-ის მოწინავე კომბაინერი გ. დოლიძე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საკომეურნეო სოფლის მშრომელები აძლიერებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს და აჩაღებენ მზადებას პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შესახვედრად. მტს-ების პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა კონკრეტულად და ოპერატიულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, დარაზმონ მთელი ძალები ნოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის, პურის სახელმწიფო დამზადების გეგმის პირნათლად შესრულებისათვის, სათოხნი კულტურების საუკეთესოდ დამუშავებისათვის, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობენ მას პარტიის რაიკომი და მისი ინსტრუქტორთა ჯგუფი. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა მტს-ის პარტიული ორგანიზაცია მზედველობიდან გამორჩენთ ხოლმე ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს.

საჭიროა გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა მტს-ების პარტიული ორგანიზაციებისადმი, დავეხმაროთ მათ მოაწყონ მექანიზატორებთან ყოველდღიური ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ყველა საწარმოო დავალების წარმატებით შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მტს-ების პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ მექანიზატორთა კადრების პოლიტიკურ აღზრდას, მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას, წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვას, უნარიანად და მთელი სისრულით გამოიყენონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, მჩქეფარე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით ყოველდღიურად წარმართონ კოლექტივის საწარმოო ცხოვრება. ამისათვის აუცილებელია სწორად იქნან განლაგებული პარტიული ძალები, რომ ყველაზე ძნელ, გადამწყვეტ უბნებზე იმყოფებოდნენ კომუნისტები და კომკავშირელები.

მტს-ების პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი გაძლიერება, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის წარმატებით განხორციელებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის დამთავრებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მოხსენება აღნიშნულ თათბირზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1955 წლის 4 აგვისტოს მოიწვიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, რათა სესიამ მოისმინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სესიის მოწვევის შესახებ ქვეყნდება.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას სსრ კავშირის მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1955 წლის 4 აგვისტოს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 ივლისი.

დეპეშა

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტს გატონ ზეოდორ კერნერს

ვენა.

გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი გულწრფელი მოლოცვა, აგრეთვე საუკეთესო სურვილები ავსტრიის ხალხისადმი იმის გამო, რომ ძალაში შევიდა სახელმწიფო ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ.

მიიღეთ ჩვენგან ბედნიერებისა და კეთილდღეობის საუკეთესო სურვილები ავსტრიის რესპუბლიკის ხალხისადმი, რომელიც დაადგა დამოუკიდებლობისა და მშვიდობისმოყვარული განვითარების გზას.

კ. ვოროშილოვი.

1955 წლის 28 ივლისი.

დეპეშა

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს გატონ იულიუს რაბს

ვენა.

იმის გამო, რომ ძალაში შევიდა სახელმწიფო ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, გთხოვთ, ბატონო კანცლერო, მიიღოთ საბჭოთა მთავრობისაგან და პირადად ჩემგან უაღრესად გულითადი მოლოცვა და სურვილი ავსტრიის რესპუბლიკის ხალხის კეთილდღეობისა.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის განმტკიცდება და განვითარდება საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხთა საკეთილდღეოდ ევროპაში მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის.

ნ. ბულგანინი.

1955 წლის 28 ივლისი.

დეპეშა

ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს გატონ ლეოპოლდ ფიგლს

ვენა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა სახელმწიფო ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, მიიღეთ, ბატონო მინისტრო, ჩემი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები ავსტრიის ხალხისადმი.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ავსტრიის მიერ არჩეული მუდმივი ნეიტრალიტეტის გზა უზრუნველყოფს ავსტრიელი ხალხისათვის მშვიდობიანი განვითარების სიკეთეს და სამსახურს გაუწევს ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს.

ვ. მოლოტოვი.

1955 წლის 28 ივლისი.

ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მიიღო სირიის პარლამენტის დელეგაცია

29 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო სირიის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

მიღებას დაესწრნენ დელეგაციის მეთაური — სირიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის ვიცე-თავმჯდომარე რაფიკ ბაშური, დელეგაციის წევრები, პარლამენტის დეპუტატები ალი ბუზო, აბდელ ვაჰაბ ჰომადი, აბდელ ლატიფ იუნესი, ჰაილ სრური, დიკრან ჯირაჯიანი, ფარზათ მამლიუკი, ჰალებ აიაში, რატიბ ჰუსამი, ჰუსეინ მრევიდი, მუსტაფა ზარქა, ჰალედ ბაგდაში, ჰალილ კალიასი, აბდელ ჰალიმ კადური, აბდელ მაჯით რუსტომი, ახმად ისმაილი, ფეისალ რუქბი, აბდელ რაზაკ ნაიფი, აკოფ მარშო და დელეგაციის მდივანი ეორქ აბუ ჟამრა.

დარბაზობას დაესწრო სირიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ფარიდ ჰანი.

საუბარში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

სირიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა რაფიკ ბაშურმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ნ. ა. ბულგანინს საუბრისათვის და გულთბილი მიღებისათვის, რაც დელეგაციას სსრ კავშირში გაუწიეს.

ნ. ა. ბულგანინმა სთხოვა დელეგაციის წევრებს გადასცენ სალამი სირიელ ხალხს, სირიის პარლამენტსა და მთავრობის მეთაურს. (საკდესი).

საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები მსოფლიო ფესტივალზე

28 ივლისს მოსკოვის ბელორუსიის ვაგზალში შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელოვნების ოსტატები, ახალგაზრდა მოსკოველები. ისინი მოვიდნენ, რათა გაეცილებინათ საბჭოთა დელეგაცია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეხუთე მსოფლიო ფესტივალზე ვარშავაში. ეს ფესტივალი ჩაიელის ლოზუნგით: „მშვიდობისა და მეგობრობისათვის“.

გულთბილად, გულითადად გააცილა მოსკოვმა საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ისმოდა მუსიკა, სიმღერა. მიმავალთ მიართვეს ყვავილები, უსურვეს წარმატება კონცერტებში, სამხატვრო კონკურსებში, სპორტულ შეჯიბრებაში.

დელეგაციის შემადგენლობაშია დიდი მხატვრული ჯგუფი, რომელშიც ხუთასზე მეტი კაცი შედის. სულ კი ვარშავაში ფესტივალზე გუშინ ათასზე მეტი კაცი წავიდა.

მსოფლიოს ახალგაზრდობა გაეცნობა აზერბაიჯანისა და სვერდლოვსკის შრომითი რეზერვების თვითმმართველ მოცეკვავეთა კოლექტივებს (ხელმძღვანელები გ. ალიევი და ა. პოლიჩკინი), კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოცეკვავეთა კოლექტივს (ხელმძღვანელი რ. ტომუტისი). რუსულ, ბელორუსულ, უკრაინულ ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს, აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერებს უჩვენებს დედამიწის ქალაშვილებსა და ჭაბუკებს ლენინგრადის სტუდენტთა გუნდი (დირიჟორი ფ. კოზლოვი). ბელორუსული ხალხური სიმღერების გუნდი (ხელმძღვანელი ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტი გ. ციტოვიჩი), პიატნიცკის სახელობის გუნდის ახალგაზრდათა ჯგუფი (ხელმძღვანელები რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტ. უსტინოვა და გ. კარპოვი). უკრაინული ხალხური ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ლ. კალინინი).

ვარშავაში ახალგაზრდობის მსოფლიო შეხვედრის დღეებში გამოვა სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბალეტმეისტერი რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ლ. ლავროვსკი. ჯგუფი უჩვენებს პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტს „გედის ტბა“. ოდეტას და ოდილიას პარტიას შესრულებენ ნ. ჩისტოვა და ნ. ტიმოფეევა, პრინცის პარტიას ნ. ფადეეჩევი და ბ. ხოხლოვი.

მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა მოამზადა მოსკოვის ახალგაზრდათა სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელიც დიდი თეატრის ფუსიკოსებისაგან შედგება. დირიჟორები არიან ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი გ. როჟდესტვენსკი და ნ. სვეტლანოვი.

გაემგზავრა ცირკის მსახიობთა ჯგუფი.

ახალგაზრდა საბჭოთა მსახიობები მონაწილეობას მიიღებენ კონცერტებში, ზოგიერთი მათგანი გამოვა შემოქმედებით შეჯიბრებაში უცხოელ შემსრულებლებთან კონკურსებზე. ესენი არიან პიანისტი ი. აირაპეტიანი (სომხეთი), ვიოლინისტი მ. კისელიოვი (ლენინგრადი), ვიოლონჩელისტი ე. ალტმანი (მოსკოვი) და სხვები. ვარშავის ფესტივალზე თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტები ტ. სოროკინა, საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის სოლისტი ა. ეიზენი, მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი ა. მასლენიკოვი, კიეველ ბანდურისტთა ვოკალური ტრიო ტ. პოლიშჩუკი, ვ. ტრეტიაკოვა და ნ. ბავლოვა. საქართველოს და უზბეკეთის მოცეკვავეები, ხალხური სიმღერების ახალგაზრდა შემსრულებლები ო. ჯუმბაევი და ლ. კაბიროვა (ტაჯიკეთი), ა. ლიტკინა (იაკუტია), ბევრი სხვა.

დელეგაციაში შედიან საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებიც კოლექტივთა ხელმძღვანელები, საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრები არიან. მათ შორის — სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ნელეპი, კომპოზიტორი რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ტ. ხრენიკოვი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები პროფესორები დირიჟორი ნ. ანოსოვი და ხორმეისტერი ვ. სოკოლოვი. რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. თუმანოვი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ემელიანოვა.

ვარშავაში გამგზავრებული საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებაში სპორტის თექვსმეტ სახეობაში — მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, კრიფში, ნიჩბოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციას მეთაურობს საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი.

სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად

ქუთაისის მონინავე საწარმოები

ქუთაისის მანქანათმშენებელნა ქარხანამ ვადამდე 100,1 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამომშვების შვიდი თვის გეგმა. ქარხანამ ქვანახშირის მრეწველობისათვის დაამზადა წყალსატუმბავები, ექსკავატორები, ათობით სახელწოდების საშახტო მოწყობილობა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 15 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 10 პროცენტით. ამჟამად ქარხანაში მიმდინარეობს ჭაურების ამოსაღები აგრეგატის საწარმოო გამოცდა.

შვიდი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმეულინტანურ-ფაბრიკამ. მელმაც წლის დასაწყისიდან შეგნი გადამეტებით გაუშვა 350 ათასი კვადრატული მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილი. ბგელისტოს ანგარიშში იძლევიან პროდუქციას მაუდის ფაბრიკის, ტყავ-ფეხსაცმლის-კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები აჩაღებენ შეჯიბრებას იმისათვის, რომ ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XX ყრილობას. (საქდესი).

შრომითი აღმავლობა

ბათუმი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ბათუმის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში. ყველგან — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ში იმართება ხალხმრავალი კრებები და მიტინგები. მშრომელები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და კისრულობენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე ბრიგადირმა შ. სეიდიშვილმა განაცხადა:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებს თვითეული საბჭოთა ადამიანის გულს. ჩვენი ბრიგადა ჩაება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტა თვითეულ ჰექტარზე წელს მიიღოს 6 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კოლმეურნემ ნ. წერეთელმა იკისრა ნახევარ ჰექტარზე მოკრიფოს 6 ათასი კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად შარშან მიღებული 5 ათასი კილოგრამისა.

ჩაისუბნელ კოლმეურნეთა ახალი ვალდებულებაა წელს გეგმით გათვალისწინებული 4.300 კილოგრამის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 5 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო თვითეულ საფურაეე ძროხაზე — 1.600 კილოგრამი რძე ნაცვლად 900 კილოგრამისა.

კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი

ხულო. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. სოფელ კორტოხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში აგიტატორმა მ. პაქსაძემ კოლმეურნეებს გააცნო ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. საუბრის დროს სიტყვა წარმოთქვა მოწინავე ბრიგადირმა დ. პაქსაძემ.

— სოციალისტური მრეწველობა, — თქვა მან, — სულ უფრო მზარდი რაოდენობით აწვდის სოფლის მეურნეობას თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და ძვირფას მინერალურ სასუქებს. პლენუმის დადგენილება მრეწველობის შემდგომი აღმავლობის თაობაზე ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პირველხარისხოვანი ტექნიკით შემდგომ აღჭურვას. ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ სულ ცოტა 22 ცენტნერი თამბაქო და 20 ცენტნერი სიმინდი.

ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ პლენუმის გადაწყვეტილებებს დიდაჭარელი კოლმეურნეები. კოლმეურნე ა. შავაძემ პლენუმის მასალების გაცნობისას ბრიგადის წევრების სახელით პირობა დადო წელს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 20-25 ცენტნერი თამბაქო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია რიყეთის სტალინის სახელობის, ღორჯომის ხრუშჩოვის სახელობის, ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

მეაბრეშუმე-ნოვატორის მუშაობის გამოცდილებიდან

როგორ ვიღებ პარკის უხვ მოსავალს

მეაბრეშუმეობისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე ჩამინერგა დედაჩემმა, მაგრამ როგორც მეაბრეშუმეს თვალი 1928 წელს ამეხილა, როცა სპეციალური კურსები დავამთავრე და ამ დარგის ინსტრუქტორის სამატიო მოვალეობა დამაკისრეს. ამავე წელს ჩვენი ოჯახი კოლმეურნეობაში შევედი.

იმ დღიდან დაწყებული, რაც საშუალება მომეცა უშუალო პრაქტიკული დაკვირვება მეწარმოებინა აბრეშუმის ჭიის ცხოვრებაზე, ჩემს გონებას არ მოსცილებია ფიქრი, ხომ არ შეიძლებოდა მინიმუმამდე შემემცირებინა აბრეშუმის ჭიის გამოკვების ხანგრძლივობა?

პატარა შემთხვევამ საგულისხმო დასკვნამდე მიმიყვანა. ერთ ღამეს ანთებული სანთლით ხელში ბოსტანში გავედი მწვანილის მოსაკრეფად. სანთლის შუქზე შევამჩნიე, რომ ბოსტნის მატლები მალიანად შეეკეციოდნენ კომბოსტოს ფოთოლს. გავიფიქრე: თუ ბოსტნის მატლს ღამით საზრდოობა სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევია, რა იქნება, აბრეშუმის ჭიაც (რსიც ხომ მატლია) განუწყვეტლივ კვებამ-მეოქი. ჩანდაფიქრი მალე სისრულეში მოვიყვანე. ერთმანეთისაგან თანაბარი დროით დაცილებულმა სადღეღამისო ხშირი ჯერებით კვებამ ხელი შეუწყო ჭიის სწრაფ ზრდას და აბრეშუმის პარკის მოკლე დროში მოცემას.

აბრეშუმის ჭიის მოთხოვნილება საკვებზე გამოჩეკიდან პარკის ახვევამდე ერთნაირი როდია. პირველ სამ ასაკში ჭიას დღეღამეში საკვებს 12-14-ჯერ ეძლევთ, აქედან ღამით 3-4-ჯერ, უფროს ასაკში კი — 8-10-ჯერ (აქედან ღამით 2-ჯერ). სინკუბაციო კამერიდან გამოსულ ჭიას წვრილად დაჭრილ ფოთოლს ვუყრით, შესამე კანის გამოცვლამდე ფოთოლს ვუჭრით ფაცაზე-ღვრელ ზომაზე, მესამე კანის გამოცვლისა და მეოთხე ასაკში გადასვლის შემდეგ კი დაუჭრელი ფოთლით და ყლორტებით ვკვებავთ.

ჭიის ზრდა-განვითარების დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საჭირო ტემპერატურისა და შეფარდებითი ტენიანობის ზუსტად დაცვას, რადგან როგორც ნაკლები ისე ჭარბი ტემპერატურა და ტენი ჭიაზე გამანადგურებლად მოქმედებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნორმალური ტემპერატურა, რომელიც სხვა პირობებთან შედარებით გადამწყვეტ როლს ასრულებს აბრეშუმის ჭიის ცხოვრებაში, განაპირობებს და ეფექტიანად წარმართავს მისი ზრდა-განვითარების სიჩქარეს. ამიტომ ბინაში ყოველთვის გვაქვს ფსიქრომეტრი და თერმომეტრი, რომელთა დახმარებით ვახდენთ შეფარდებითი ტენიანობისა და ტემპერატურის რეგულირებას. პირველ სამ ასაკში ჭიას მეტი ტემპერატურა და ტენი უყვარს, ბოლო ასაკებში კი უფრო ნაკლები. პირველ სამ ასაკშივე ჭიას ვკვებავთ 24-26 გრადუსი ტემპერატურის და 65-75 პროცენტი ტენიანობის პირობებში. უფროს ასაკებში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 23-24 გრადუსს, ტენიანობა — 60-70 პროცენტს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოთხოვნათა დაცვას პარკის ახვევის პერიოდში. მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებისათვის ამ პერიოდში აუცილებელია საჭიროა ტემპერატურა არ აღემატებოდეს 20 გრადუსს, ხოლო ტენიანობა 60-70 პროცენტს.

ოსანა აივაზაშვილი.

* * *

ჩვენ უაღრესი სიზუსტით ვახორციელებთ აგრონუსებით გათვალისწინებულ სხვა ნორმებსაც — ვიცავთ ლასტებზე ჭიის განლაგების სიხშირეს, დროულად ვაცლით ნაძირს, რეგულარულად ვაწარმოებთ ჰაერცვლას.

როცა ჭია უკვე მეოთხე ასაკში შედის და ახლოვდება პარკის ახვევის დაწყების დრო, ვეწევით საცხე მასალის მომზადებას. ვარჩევთ და ჩრდილში ვაშრობთ მას. შემდეგ, ცახებს, რომლებსაც თაიგულებად ვკრავთ, ვდგამთ ლასტების გარშემო.

ყველა ზემოაღნიშნული პირობის მტკიცედ დაცვით ჭია ზრდას ასრულებს და პარკის ახვევას მეოცე დღეზე აწყებს.

ჩვენმა რგოლმა წელს მოუარა 135,3 გრამი თესლიდან გამოყვანილ აბრეშუმის ჭიას. სახელმწიფოს ჩავაბარეთ გეგმაზე ორჯერ მეტი ხარისხოვანი პარკი. პირადად მე ვუვლიდი 27,8 გრამი თესლიდან მიღებულ ჭიას და მოვიყვანე 172 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 კილოგრამისა.

შარშან გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე მივიღე 4,5 კილოგრამი მარცვლეული, 2 კილოგრამი ყურძენი, 3 მანეთი ფული და სხვ. ჩემი ოჯახი შეძლებულად ცხოვრობს.

ჩვენ, ქისტაურელი მეაბრეშუმეები, მარტო მეაბრეშუმეობით როდი ვიფარგლებით. ერთ საათსაც არ ვკარგავთ უქმად — კოლმეურნეობას ვეხმარებით ნათესებისა და ბაღ-ვენახების დამუშავებაში.

1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ვარ. კარგად მაქვს შეგნებული თუ რა ბედნიერებაა კვლავ იხილო ჩვენი დიადი ქვეყნის გული — მოსკოვი და გამოცდილების სახალხო უნივერსიტეტი — გამოფენა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ჩვენ ახალი ძალები შეგვმატა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ზომავალში მეტი მიღწევები მოვიპოვოთ სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ო. აივაზაშვილი,

სტალინური პრემიის ლაურეატი, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის მერგოლური.

შემოქმედებითი შრომის დღეები...

აგიტატორის საუბრიდან

იმ დღეს ზესხვის მთაზე ძლიერი ჭექა-ქუხილი იყო. ცალ-მალ გაიელვებდა და წუთით გამოჩნდებოდა ღრუბლებში გაჭედული მწვერვალები, კლდეებზე ჩანოკიდებული ჩანჩქერები... გარკვევით ისმოდა უფსკრულში ჩაკარგული ოდინარის ღმუილი...

ამ საშინელ ამინდში ფერმის მუშაკები პირუტყვს თავს დასტრიალებდნენ, უკლებლივ ყველა დააბინავეს.

— ვფიქრობ, ჩვენი ზურაბი დანიშნულ დროზე ამოვა!

— ძნელია ახლა ადიდებული ნაკადულების გადმოლახვა!

— მისი სიტყვა სიტყვაა! — ლაპარაკობდნენ მწყემსები.

სწორედ ამ დროს გაისმა ცხენის თქარათქური. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და სახემოციანარი ზურაბ ონიანი მწყემსების საოგომში შემოვიდა. ყველა ქუდი მოიხადა და დამხდურთ თავაზიანად მიესალმა. ზოოვეტპუნქტის გამგეს კომუნისტ ზ. ონიანს მართალი სიტყვის კაცს ეძახიან აქ. მისი სიტყვა და საქმე ერთია. მან მწყემსებს ახალი გაზეთები ამოუტანა.

მწყემსებმა ზ. ონიანის ახლოს მოიყარეს თავი, აგიტატორის მორიგი საუბრის მოლოდინში ყველა სმენად გადაიქცა.

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია ლენტეხის რაიონის მეცხოველეობის ფერმების ყველა მუშაკი.

ზღვის დონიდან რამდენიმე ათასი მეტრის სიმაღლეზე, ზესხვის მთაზეა სოფელ ცანის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ფერმა, ზამთარ-ზაფხულ აქ არის დაბანაკებული საკოლმეურნეო პირუტყვი. ფერმის გამგეა კომკავშირელი ი. გალდანი. იგი ცდილობს მთელი ცოდნა და ენერგია მოახმაროს პირუტყვის გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის საქმეს.

თავდადებული შრომით სახელი მოიხვეჭა მწყემსმა გიორგი გალდანმა. მას პირუტყვის კარგად მოვლის ოსტატს ეძახიან. თვალისჩინივით უფრთხილდება თვითეულ ძროხას.

აგიტატორმა დაწვრილებით ილაპარაკა მწველავ მაშო გამყრელიძის საქმიანობაზე. ეს თავმდაბალი, გამრჯე ადამიანი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ბაგალითს იძლევა.

— ოქროს ხელი აქვს, — ამბობენ მასზე.

საუბარში აგიტატორმა ნაკლოვანებანიც აღნიშნა, გააკრიტიკა ზოგიერთი მწყემსის მოუქნელობა.

— ჩვენთან იყო ნამატის სიკვდილიანობის შემთხვევები. ეს სერიოზული ხარვეზია! — ბოლო სიტყვებზე მწყემსებმა ერთმანეთს გადახედეს.

აგიტატორმა ფერის მუშაობის ავკარგის შემდეგ მეზობელ კოლმეურნეობათა საქმიანობაზეც ილაპარაკა. შხარას მრისხანე მწვერვალების ქვემოთ სოფელ უშგულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის სადგომებია განლაგებული. უშგულელები პირველნი გამოეხმაურნენ ხარკოველთა ინიციატივას მოპირკეთებული სასილოსე ტრანშეების შენებლობის საქმეში. ადგილობრივი საშენი მასალების — ქვაკირისა და ქვიშის გამოყენებით რაიონში პირველებმა შეასრულეს მშენებლობის გეგმა, პირნათლად გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. მათ გამოცდილებას იზიარებენ მეზობელი კოლმეურნეობები.

კომკავშირელმა კ. ქაკრიაშვილმა, რომელიც ფერმას ხელძღვანელობს, განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენგან მოითხოვენ კიმუშაოთ გაორკეცებით, ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. სვანი მეცხოველეები თავის წვლილს შეიტანენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

ფერმის ბუშაკების კ. ჭელიძის, ს. ღვანჩლიანის, დ. ქაკრიაშვილის, ტ. ხაჟუანის და სხვათა სახელოვანი შრომა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საწინდარია. აგიტატორმა გაიხსენა კომკავშირელ ჰიპიკო გულბანის მისაბაძი მაგალითი.

...ამ გაზაფხულის ერთ დღეს მთის მდინარეებმა ნაპირები გადმოლახეს. ტყის ნაპირას სოფელ ცანის კოლმეურნეობის ხბოები ადიდებული მდინარის შუაგულს, პატარა კუნძულივით დარჩენილ მინდორზე მოხვდნენ. მდინარე ყოველ წუთს დიდდებოდა, ზვირთები წალეკვას ემუქრებოდა კუნძულს. ცოტაც, და ხბოებს შთანთქამდა მრისხანე ტალღები.

— გვიშველეთ!

— დაიღუპებიან, — გაისმა ქალების ხმა.

კომკავშირელი ჭ. გულბანი არ დაიბნა. ადიდებული მდინარე გადალახა, ხბოები საშშვიდობოზე გამოიყვანა. კომკავშირელის ბამაცობა სამაგალითო გახდა.

პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ საქმეში თავი ისახელა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა, გამრჯე კომკავშირელმა სიმონ ჯანხოთელმა. მან ვალდებულებით გათვალისწინებული 140 ცენტნერის ნაცვლად 200 ცენტნერი თივა დაამზადა, რისთვისაც საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა საპატიო სიგელით დაჯილდოვა. ს. ჯანხოთელი თივის დამზადების ოსტატია, რაზმავს აქტივს მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. ასეთები ლენტეხსა, ლაშხეთსა და მთელ რიგ სოფლებში ათობით არიან. ალპური ზონის სათიბებში თავდადებით შრომობენ საკვებმომმოვებელი ბრიგადები. მათ შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

აგიტატორმა დამსწრეთ გააცნო სოფელ მელის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკთა გამოცდილება. აქ შარშანდელთან შედარებით დიდად გაზარდეს პირუტყვის პროდუქტიულობა. ფერმის გამგე ვ. ავალიანი ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყო.

საუბრის დროს გაიხსენეს რაიონში სახელმოხვეჭილი მეცხოველე გერასიმე გულბიანი, რომელიც ფერის დაარსების დღიდან სათავეში უდგას მას.

ჩამავალი მზის სხივები მწვერვალებს ეთამაშებოდა. ღრუბლები ქარმა გაფანტა. შორს კონცხზე ქანდაკებასავით მდგომი ჯიხვი გამოჩნდა. აგიტატორს საუბარი არ ჰქონდა დასრულებული, რომ უღელტეხილის ძირში განლაგებულ სოფლებში ილიჩის ნათურები აკაშკაშდა.

— სოფლები კი არა, ქალაქებია, — წაილაპარაკა ტანბრგე ვაჟკაცმა ჭ. გულბიანმა და ღიმილით გადახედა კეთილმოწყობილ თანამედროვე საბჭოთა სოფლებს.

აგიტატორმა ისევ განაგრძო სიტყვა:

— ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ მეცხოველეობა უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ. პირველი ნაბიჯები მისაბაძია. გასულ წელთან შედარებით წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე წველადობა რაიონში გაზრდილია 200 ლიტრით.

დასასრულ აგიტატორმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დასახულია სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე.

საუბარში ფერმის მუშაკი გ. გალდანი ჩაერია:

— ახალ გაზეთებს ვიღებთ, მაგრამ კარგი იქნება ხანდახან კინოც გვიჩვენონ...

მწველავმა ქალმა, რომელიც სიყვარულით გასცქეროდა ფერმის ეზოში მოკუნტრუშე ხბოებს, გულნატკენად თქვა:

— მწერლებიც რომ ესტუმრონ ალპური ზონის საძოვრებს, მათთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც!..

• • •

ლენტეხის რაიონის საძოვრებზე, ფერმებში შემოქმედებითი შრომის ცხარე დღეებია...

კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თავდადებით მუშაობენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ა. გოცირიძე,
ა. ბეშიძე.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

★

ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ

ბაშკიჩეთის მეცხოველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის ძირითადი დანიშნულებაა ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ფერმების შევსება ჯიშიანი პირუტყვით. უკანასკნელი 11 წლის მანძილზე მეურნეობამ კოლმეურნეობებს მიჰყიდა 2.700 სულზე მეტი სანაშენო ნოზარდი. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობა თბილისის მოსახლეობას დიდი რაოდენობით აწვდის რძეს.

მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სამეურნეო წლის რვა თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 2.200 კილოგრამამდე რძე. ნამატი მთლიანად შეინარჩუნეს.

წელს 20 ივლისისათვის 47 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ 3.000 კილოგრამი რძე მივიღეთ.

მეურნეობის პირუტყვი გადაყვანილია ბაგურ-ბანაკურ კვებაზე. თვითეულ ძროხას ვაძლევთ 50 კილოგრამამდე გათიბულ ბალახს და 4 კილოგრამამდე კონცენტრატებს.

პირუტყვის წესიერი და გაძლიერებული კვებით სამეურნეო წლის ბოლოსათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღებთ 3.200 კილოგრამ რძეს.

მეურნეობაში პირუტყვის ახალი ჯიშობრივი ჯგუფის შექმნის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ხბოების მომვლელებს. პირადად ჩვენ გამოვიყენეთ სოციალისტური შრომის გმირის ს. შტეიმანის ხბოების გაზრდის ახალი მეთოდი, რის შედეგადაც შევინარჩუნეთ ყველა 125 ხბო და სადღეღამისო მატება წონაში თვითეულ ხბოზე გავზარდეთ 1,1 კილოგრამამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 გრამისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ვუპასუხებთ ახალი წარმატებებით მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ი. ბარძიმაძე,
ბაშკიჩეთის მეცხოველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის მწყემსი.

ცაგერის რაიონის სოფელ აღვის ჯიშის ძროხები.

ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის ველის წითელი ფოტო შ. გოქაძისა.

◁ ★ ▷

ნ. შუბინა,
მეხბორე.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲤᲔᲠᲛᲐ

აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში საუკეთესოდ უვლიან ძროხებს. შრომა კარგად არის მოწყობილი. მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ვ. თედორაძე, შ. მარღანია, ტ. ჩიტაია.

ფერმის მუშაკებმა სამეურნეო წლის ცხრა თვეში გადაჭარბებით შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 716 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700-სა. ზოგიერთმა ძროხამ მოიწველა 2.000 კილოგრამი რძე. მიღწეული წარმატებისათვის ფერმას გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ი. თოფურია.

ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲠᲝᲡ

გულრიფშის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში შეუწყნარებლად ჩაბარდება სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა.

ეს მაშინ, როცა 15 აგვისტოსათვის კოლმეურნეობებში უნდა აშენდეს 5.030 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები.

იმ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, რომლებმაც სწორად გაიგეს პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები, სწრაფად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და წარმატებით მოაწყეს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა. სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალსოფელში“ (თავმჯდომარე ამხ. ა. ზაქარაია) წელს გეგმით 50-50 ტონის ტევადობის ორი სასილოსე კოშკი უნდა აეშენებინათ. აქ ეს საშუშაო დროულად დაიწყეს და ვადამდე ააგეს 50 ტონის ტევადობის ერთი სასილოსე კოშკი, ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მეორე კოშკის მშენებლობა. ამ საქმეში ასევე კარგი წარმატებები აქვთ სოფელ დრანდის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ნ. კაჭარავა), სოფელ მერხეულის ზარათაშვილის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ვ. კვიკვინია) კოლმეურნეობებს.

სამწუხაროდ, მოწინავეთა გამოცდილება არასაკმაოდ ინერგება, ჯვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. სოფელ კოდორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს გეგმით 150 ტონის ტევადობის სამი სასილოსე კოშკი უნდა აეშენოს. ამ მიზნით კოლმეურნეობამ მშენებლები დაიქირავა, ხელშეკრულებაც გააფორმა და 50 ტონის ტევადობის ერთი სასილოსე კოშკის მშენებლობა დაიწყო. აქ საშენი მასალები საჭირო რაოდენობით მომარაგებული არ ჰქონდათ. ამიტომ სასილოსე კოშკის საძირკვლის ჩათვლით ორ ნეტრამდე კედელი ამოაშენეს და ამით დაკმაყოფილდნენ.

მშენებლობის ტემპები დაბალია აგრეთვე სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის, აზანთის მოლოტოვის სახელობის და წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობებში. წეზელდის კოლმეურნეობა „ოდიშში“.

მიუხედავად იმისა, რომ საკვების დასილოსების ვადები მოახლოვდა, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისათვის მიწის სამუშაოების შესრულებას, აგრეთვე საშენი მასალების დამზადებასა და მიზიდვას აჭიანურებენ სოფელ განახლების კეცხოველის სახელობის, კოდორის სტალინის სახელობის, დრანდის წერეთლისა და შაუმიანის სახელობის, გულრიფშის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის, ბაღმარანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენ“-ის გამგეობის თავმჯდომარემ ი. ქარჩავამ მტს-ის ხელმძღვანელ მუშაკებთან საუბარში უდარდელად განაცხადა:

— სასილოსე კოშკების მშენებლობა არ დაგვიწყია და წელს ამაზე არც ვფიქრობთ, რადგან კოლმეურნეობას საამისო თანხები არა აქვსო. (!).

ამხ. ქარჩავა თავს არ იწუხებს ადგილობრივი საშენი მასალების გამოსაყენებლად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს, როგორიც სიმინდის დასილოსება და სასილოსე ნაგებობათა მომზადებაა.

ამ საქმეში რაიონის კოლმეურნეობებისათვის შეფობის სახით დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ქალაქ სოხუმის სამრეწველო საწარმოებს. ბართალია, ზოგიერთი საშეფო ორგანიზაციის წარმომადგენლები კოლმეურნეობებში მივიდნენ, დახმარებაც აღუთქვეს, მაგრამ პრაქტიკულად ცოტა რამ გააკეთეს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გულრიფშის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაცია (გამგეობის თავმჯდომარე გ. კიკვიძე) უდარდელობას იჩენს კოლმეურნეობების ცემენტით და სხვა საჭირო მასალებით დროულად და სრულად მომარაგების საქმეში.

თუ პარტიის გულრიფშის რაიკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა ამთავითვე გადამწყვეტი ზომები არ მიიღეს, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დაგვიანების დროულად შესრულება ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ი. ბოგვერია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲔᲚᲛᲠᲘᲪᲮᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ

სოფელ ციხესულორის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას მეცხოველეობის სულადობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მხრივ ვანის რაიონში პირველი ადგილი უჭირავს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში (გამგე მ. ხეცურანი) 410-ის ნაცვლად ჰყავთ 478 სული პირუტყვი. სამეურნეო წლის მანძილზე აქ 74.500 ლიტრი რძე უნდა მოწველონ. 15 ივლისისათვის მოწველეს 67.142 ლიტრი, ანუ გეგმის 90,1 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთ აღემატება მთელი გასული სამეურნეო წლის მანძილზე მიღებული რძის რაოდენობას.

თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დღემდე უკვე მოწველილია 639 ლიტრი რძე, წლიური გეგმა კი 650 ლიტრს ითვალისწინებს.

ფერმის 7 მწველავიდან ოთხნი უკვე გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური დავალება. დ. კოლბაიამ წველადობის გეგმა 111 პროცენტით შეასრულა, ა. ჩუბუნიძემ — 106,6 პროცენტით. წველადობის წლიური დავალებები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს აგრეთვე მეცხოველეებმა ო. შარავაშიძემ და შ. ზიბილეიშვილმა.

თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა სოფელ სალხინოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელიც მეცხოველეობის პროდუქტიულობის მიხედვით რაიონში მეორე ადგილზეა.

მ. გოგოძე.

ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲓᲠᲝᲮᲐᲖᲔ 1.032 ᲚᲘᲢᲠᲘ ᲠᲫᲔ

გურჯაანი. (საკ. კორ.). მუკუზნელი კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მეძროხეობის ფერმის მუშაკებმა წელს მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პირუტყვის მოვლა-პატრონობა. ფერმაში სანიმუშო სისუფთავეა, კვების რაციონი დაცულია.

მუკუზნელებს შრომა დაუფასდათ. წველადობის წლიური დავალება გადაზე სამთვენახევრით ადრე გადამეტებით შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრის ნაცვლად თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.032 ლიტრი რძე.

მწველავებს შორის ყველაზე მეტად ისახელეს თავი ეკატერინე პერეშკოვამ და ეთერ ნადირაშვილმა. პერეშკოვამ თვითეულ ძროხაზე 1.455 ლიტრი რძე მიიღო, ხოლო ნადირაშვილმა — 1.200 ლიტრი.

მუკუზნელები წლის ბოლომდე დიდძალ რძეს მიიღებენ გეგმის გადამეტებით.

ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი კოლმეურნე გლეხობის, მექანიზატორებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ყურადღების ცენტრშია. ისინი მხურვალედ იწონებენ ამ გადაწყვეტილებებს და აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად.

— სულ უფრო ფართოვდება თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების ფრონტი თეთრი წყაროს რაიონში, — გვატყობინებს ჩვენი გაზეთის მკითხველი **ნ. ნასარიძე.** — შეუფერხებლად და ნაყოფიერად მუშაობენ ასურეთის მტსის მექანიზატორები. კომბაინერები ტ. დალაქიშვილი, ა. მიკირტუმაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ა. ღაღეთაშვილი, ა. მენთეშაშვილი თვითეული ყოველდღე 20-25 ჰექტარზე იღებს მოსავალს.

დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის „აგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. შ. ჩავჩიძე). აქ უკვე გაანაღდეს როგორც სულადობის განვითარების, ისე პროდუქტიულობის ზრდის მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებები. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 900 ლიტრი რძე. ამის შესახებ აცნობებს რედაქციას სოფლკორი **ტ. ჩიქოვანი.** — გვიშტიბელი კოლმეურნეები პიროობას იძლევიან, — წერს იგი, — სამეურნეო წლის ბოლომდე თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა საშუალოდ 1.500 ლიტრამდე აიყვანონ.

— გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, — გვატყობინებს „კომუნისტის“ მკითხველი **თ. გოგიაშვილი,** — საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ პროდუქტიულობის გაზრდისათვის სხვა და სხვა სახის საკვებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სილოსს. წელს აქ გადაწყვეტილი აქვთ თვითეული საფურაჟე ძროხისათვის ჩადონ 5-6 ტონა სილოსი, ანუ შარშანდელზე ერთიორად მეტი. დაიწყო საადრეო სილოსის ჩადება. საკვების დასილოსებასა და ტრანშეების აგებაში კოლმეურნეებს ქმედით დახმარებას უწევს გურჯაანის მტს-ი.

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, — გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი **ხ. ონანაშვილი,** — წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ძვირფასი საკვები და სასილოსე კულტურის — სიმინდის რესურსების გადიდებისათვის. ნაწვერალზე დათესილი 60 ჰექტარი სიმინდი კარგად აღმოცენდა. მისი დასილოსება მიეწყობა რძისტრ-ცვილისებრ სიმწიფეში.

ზევრი მიმდევარი ჰყავს ცხაკაიას რაიონში ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის მეძროხეშუმეობის მერგოლურს, სტალინური პრემიის ლაურეატს ო. აივაზაშვილს. — ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქ. ჯანაშიამ, — იწერება სოფლკორი **ს. კუჭავა,** — ქისტაურელთა მეთოდით გამოკვება 14 გრამი ჭია და 29,4 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარა 70 კილოგრამი პარკი. აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე ამ კოლმეურნეობის წევრმა დ. ღაღანაძემ, თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ლ. არჩაიამ, ნ. არდიამ და სხვებმა.

ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან ჩვენი მეჩაიეები. ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. — გვწერს გაზეთი „კომუნისტის“ მკითხველი **ა. ჭარჩავა,** — გეგმაზე თითქმის ერთნახევარჯერ მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა საჯიჯაოელი კოლმეურნეები ახალი საწარმოო წარმატებისათვის აღფრთოვანა. მათ გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება 10 აგვისტომდე შეასრულონ და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 100 ტონა ნედლეული.

როგორც სოფლკორი **რ. ჩაჩუა** იწერება, ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კოლექტივმა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ბოლოსათვის თითქმის სანახევროდ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მეურნეობის კოლექტივი ძალუძს არ ზოგავს იმისათვის, რომ ჩაის კრეფის წლიური დავალება აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე შეასრულოს. ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეურნეობის ის აგროგანყოფილებები, რომლებსაც ს. ჩახვაძე, ნ. ურუშაძე, გ. დეკანოსიძე ხელმძღვანელობენ.

სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომითი თანამეგობრობის კარგი ტრადიცია აქვთ გეგეჭკორის რაიონის კუიბიშევის სახელობისა და სოფელ თამაკონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს. წელს ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში ისინი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან. კუიბიშეველებმა 151,2 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის დავალება, თამაკონელებმა — 153,3 პროცენტით. — ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში, — იწერება კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი **ჰ. ნადარაია.**

— წელს ახალი ენერგიით იბრძვის ცნობილი მეჩაიე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი გული ჯინჭარაძე, — გვწერს ქობულეთიდან „კომუნისტის“ მკითხველი ამხ. **ჯ. მახარაძე.** — ამხ. გული ყოველდღიურად 70-90 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს და დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მისი ვალდებულებაა წელს დედა-სამშობლოს მისცეს ყველა წინა წელზე გაცილებით მეტი ჩაის ფოთოლი — მოსავლელად მიჩენილი ნახევარი ჰექტარი ფართობიდან 8.500 კილოგრამი ნედლეული.

— სამტრედიის რაიონის ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მიმდინარე წელს სერიოზული მუშაობა გასწია ფილოქსერაგამძლე ვაზის სანერგეების გამოსავლიანობის გასადიდებლად. აქ მაღალხარისხოვნად ჩაატარეს ნიადაგის ხვნა და გადაბარვა, სასუქების შეტანა, მწკრივთაშორის ხვნა, კულტივაცია აზოტის შეტანით, შპალერის რემონტი, თოხნა, ზედმეტი ყლორტების შეცლა და ა. შ. — სწერს რედაქციას ჩვენი გაზეთის მკითხველი **დ. გოგიტიძე.**

ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა მოწინავე ადამიანმა ნახა წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა — გამოცდილების სახალხო უნივერსიტეტი. მდიდარი შთაბეჭდილებებით და მტკიცე რწმენით — გამოფენაზე მიღებული მთელი ცოდნა მოახმარონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას — დაბრუნდნენ ისინი თავიანთ სამუშაო უბნებზე.

— ნაყოფიერი იყო ჩვენი ექსკურსია მოსკოვში, — იტყობინება რედაქციის სახელზე გამოგზავნილი წერილით საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის მდივანი აგარის მტს-ის ზონაში ამხ. **ი. ბუზალაძე.** — ახლა ჩემი მთავარი ამოცანაა ფართოდ გავავრცელო და დავნერგო გამოფენაზე ნახული მოწინავეთა ახალი ხერხები და მეთოდები.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ᲞᲐᲠᲯᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). შედგა ზუგდიდის რაიონის პარტიული აქტივის კრება. აქტივის კრებამ განიხილა საკითხი პარტიული განათლების სისტემაში 1954-1955 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. მოხსენება გააკეთა პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ღვინჯილიამ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ გასულ სასწავლო წელს პოლიტსკოლების, წრეების, თეორიული სემინარების მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობა იყო შექმნილი. საგრძნობლად გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდა. გასულ სასწავლო წელს კარგად იმუშავეს ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის, სოფლების ნარაზენის, ჭითაწყარის, ორულუს, ჭალვინჯის, ოქტომბრის, საკონსერვო ქარხნის, მეორე ჩაის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულმა პოლიტსკოლებმა და წრეებმა. მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდი იყო. რკინიგზის ინვირის სადგურის, ანაკლიის, ცაიშის და მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებსა და წრეებში გამართულმა შემაჯამებელმა მეცადინეობამ გამოამჟღავნა კომუნისტთა თეორიული მომზადების დაბალი დონე. აღნიშნული პარტიული ორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევდნენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს, კონტროლსა და დახმარებას არ უწევდნენ მათ, არ აწყობდნენ ლექციებ-მოხსენებებს და თეორიულ გასაუბრებებს.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილმა.

აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

თბილისში ჩამოვიდა პოლონელ ჟურნალისტთა დელეგაცია

29 ივლისს თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ეცნობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტსების, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობის გამოცდილებას.

დელეგაციას მეთაურობს „გაზეთა პომორსკას“ მთავარი რედაქტორი გენრიკ ცუკერი (ქალაქი ბიდგოშჩი). დელეგაციის წევრებს შორის არიან ყოველკვირეულის „სოფლის მეურნეობის მუშაკის“ მთავარი რედაქტორი ეჟი სოლეცკი (ქალაქი ვარშავა), ყოველკვირეულის „გლეხის გზის“ რედაქციის მდივანი ზდისლავ ლიუბოვიჩი (ქალაქი ვარშავა), პრეს-სააგენტოს „აგენციან რაბოტნიჩას“ თანამშრომელი იანინა ზროძკა (ქალაქი ვარშავა), „გაზეტა პოზნანსკას“ რედაქციის თანამშრომელი მაცეი გავანსკევიჩი (ქალაქი პოზნანი).

ვაგზალში პოლონელ ჟურნალისტებს შეხვდნენ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ი. ი. ჩხიკვიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. ს. ზექაური, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიო-ინფორმაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ა. კ. კელენჯერიძე, პოეტი ს. ი. ჩიქოვანი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ჟღენტი და სხვები.

დელეგაცია საქართველოში დაჰყოფს რამდენიმე დღეს. (საქდესი).

იუგოსლავ ჟურნალისტთა ჯგუფი თბილისში

გუშინ, 29 ივლისს, სოჭიდან თბილისში ჩამოვიდა იუგოსლავიის ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში. ჯგუფს მეთაურობს გაზეთ „ოსლობოჟდენეს“ დირექტორი რადოვან პაპიჩი (სარაევო). ჯგუფის შემადგენლობაში არიან გაზეთ „ნოვა მაკედონიას“ დირექტორი ლაზო მოისოვი (სკოპლე), გაზეთ „პოლიტიკას“ მთავარი რედაქტორი დანილო პურიჩი (ბელგრადი), „რადიო ბელგრადის“ მთავარი რედაქტორი მილორად მიეკიჩი, გაზეთ „ბორბას“ საგარეოპოლიტიკური განყოფილების რედაქტორი იოჟე სმოლე (ბელგრადი), გაზეთ „ვიესნიკის“ მთავარი რედაქტორი იოშკო პალავრშიჩი (ზაგრები), გაზეთ „სლოვენსკი პოროჩევალეცის“ მთავარი რედაქტორი სერგეი ვოშნიაკი (ლიუბლიანი).

ეროდრომზე იუგოსლავ ჟურნალისტებს შეხვდნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ნ. უ. ჯაში, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი ზ. ნ. პოღოსიანი, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ბ. მ. შატბეროვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ა. კვესელავა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტები, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების თანამშრომლები. (საქდესი).

მრეწველობის მუშაკები—საშეფო კოლმეურნეობებში

რუსთავი. (**საკ. კორ.**). რუსთავის მეტალურგები დღითიდღე აუმჯობესებენ მრეწველობის მუშაკთა საშეფო დახმარებას კოლმეურნეობებისადმი. პურეულის ნოსავლის აღების გადამწყვეტ დღეებში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის საშეფო კოლმეურნეობას დაახმარა სატვირთო ავტომანქანები, გაუკეთა ურმის ღერძები და სხვ.

ამას წინათ სიღნაღის რაიონს ესტუმრა მეტალურგიული ქარხნის ავტომხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. რიმნისთაველი), რომელმაც ალაზნის მტს-ში და მისი ზონის საკოლმეურნეო მინდვრებზე რამდენიმე კონცერტი გამართა.

საპატიო ამოცანა დაეკისრათ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლებს — გარდაბნის, მარნეულის, გარეუბნის, მცხეთის, დუშეთის, ხაშურის, ზესტაფონის, ჭიათურის, წყალტუბოსა და საჩხერის რაიონების საშეფო კოლმეურნეობებში 15 აგვისტომდე დაამთავრონ 20.000 ტონა ტევადობის სასილოსე ტრანშეებისა და ორმოების აგება. ეს საქმე მინდობილი აქვთ ტრესტის წამყვან სამშენებლო ორგანიზაციებს — ბეტონის ცენტრალურ კომბინატს, სარემონტო-მექანიკურ ქარხანას, ბინათმშენებლობის, სამშენებლო მექანიზაციის, სამოქალაქო ბინათმშენებლობისა და სხვა სამშენებლო სამმართველოებს.

რუსთავის მშენებლები სასილოსე ტრანშეების აგებისას იყენებენ მიწის სათხრელ მძლავრ მანქანებს, ამწეებს. ტრანშეების კედლებს აკეთებენ ბეტონის ცენტრალურ კომბინატში დამზადებული მოზრდილი ფილებისაგან. გარდაბნის რაიონის სოფელ მიხაილოვკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ბეტონის ცენტრალური კომბინატის სპეციალისტებმა ინჟინერი ი. ანდრიაძის ხელმძღვანელობით 200 ტონა ტევადობის სასილოსე ტრანშეა 5 დღეში ააგეს. კიროვის სახელობის კოლმეურნეობას სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში კარგად ეხმარება ბინათმშენებლობის სამმართველო. ბინათმშენებლებმა 400 ტონა ტევადობის სასილოსე ტრანშეის აგება 15 ივლისისათვის დაამთავრეს და გადაწყვიტეს გარეუბნის რაიონის სოფელ თელეთის კოლმეურნეობაში მოკლე დროში დაამთავრონ 1.000 ტონა ტევადობის ასეთივე ტრანშეის მშენებლობა.

პრეზიდენტ ჯიჯოს გამოსვლა

ბელგრადი, 29 ივლისი. (საკდესი). 27 ივლისს 200-ათასიან მიტინგზე ქალაქ კარლოვაცში ალჟანყების დღისა და ხორვატიის ხალხთა განთავისუფლების ათი წლისთავის დღესასწაულის გამო ვრცელი სიტყვა წარმოთქვა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ-ტიტომ.

თავისი სიტყვის დასაწყისში ტიტომ ილაპარაკა იუგოსლავიის ხალხთა ბრძოლაზე ჰიტლერული არმიის წინააღმდეგ. მტერზე გამარჯვების შედეგად, განაცხადა მან, მთელი მსოფლიო კმაყოფილებით შესცქერის ახალ იუგოსლავიასა და მის ხალხებს, რომლებიც მუდმივი სამხედრო მუქარის პირობებში გულმოდგინედ და დაუცხრომლად აშენებენ თავიანთ უკეთეს მომავალს და დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამ საქმეში.

შემდეგ მან თქვა, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მოწყობილობის იმპორტასათვის იუგოსლავია იძულებული იყო აეღო უცხოეთის სესხები და ამჟამად მისი ვალი 400 მილიონ დოლარს აღემატება. ეს დავალიანება გაიღებით ნაკლები იქნებოდა, საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს რომ მხედველობაში მიეღოთ ზარალი, რომელიც იუგოსლავიამ განიცადა ომის დროს, და ლონდონის ხელშეკრულების შესაბამისად დასავლეთ გერმანიას რომ გადაეხადა იუგოსლავიისათვის დიდი ვალები, რაც წარმოიშვა ომამდელ და ომის წლებში. ილაპარაკა რა დასავლეთ გერმანიის ვალებზე იუგოსლავიისადმი, ტიტომ განაცხადა: „ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს ვალები, და კიდევაც მოვითხოვთ და არ ავიღებთ ხელს იმაზე, რაზეც უფლებაც გვაქვს, რადგან მიგვაჩნია, რომ უკვე გადაკეთეთ საკმაო დათმობანი. ჩვენ მოვითხოვთ არა მაქსიმუმს, არამედ მინიმუმს. და ჩვენ მოვითხოვთ გადაგვიხადონ ეს ვალი, რადგან ეს ჩვენთვის აუცილებელია... მე ვაცხადებ აქ, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებით სხვა რიმე შესაძლო გზით დავიცვათ ჩვენი ინტერესები. ჩვენ მოველით, რომ ამ საკითხს ისინი დადებითად გადაწყვეტენ“.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი ტიტო ლაპარაკობს საბჭოთა კავშირზე, რომელმაც გვიჩვენა ვალების საკითხის გადაჭრის მაგალითი. ბელგრადში მოლაპარაკების დროს „საბჭოთა ხელმძღვანელებმა არა მარტო მოგვხსნეს ძველი ბრალდება, არამედ გამოიჩინეს შორსმჭვრეტელობაც იმ მატერიალური ზარალის შესახებ, რომელიც ჩვენ მოგვივიდა... მათ შეიგნეს ჩვენი ეკონომიური სიძნელეები და დაფარეს ჩვენი ვალი 90 მილიონი დოლარის ოდენობით... ეს დიდი თანხაა ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, ჩვენი ეკონომიკისათვის“. ტიტომ იმედი გამოთქვა, რომ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც ამ გზით წავლენ, რადგან საბჭოთა კავშირსა გვიჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდა მოეკიდონ იმ ქვეყანას, რომელიც რეაბილიტირებულია როგორც მოვალე.

ილაპარაკა რა იუგოსლავიის ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, პრეზიდენტმა ტიტომ აღნიშნა, რომ ამ მხრივ დიდი სიძნელეებია: ნედლეულის, ვალუტის, ელექტროენერგიის ნაკლებობა და სხვ. ეს გვაიძულებს შევაფასოთ მსჯელი მრეწველობის განვითარების ტემპი, უფრო მალე დავამთავროთ საკვანძო ობიექტების მშენებლობა, მოვახდინოთ არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია და პირველ რიგში განვავითაროთ ელსპორტასათვის მომუშავე მრეწველობა. ყოველივე ეს, ამბობს იგი, შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ მშრომელთა ცხოვრების დონე და გავაფართოვოთ სავაჭრო-მფლობელო ბალანსი. გადავიდა რა საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებაზე, ტიტომ განაგრძო:

„მე ვიცი, რომ ახლა თქვენ ყველაზე მეტად გაინტერესებთ ჟენევის თათბირი. იგი მეც მაინტერესებდა, და უნდა ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ ამ თათბირის შედეგებით. ჩვენ მოველოდით ომ მომენტს, რომელსაც ყოველთვის ველოდით, რომელზეც ყოველთვის ვლაპარაკობდით, — რომ ვაწარმოებდეთ ნოლაპარაკებს მწვანე მაგიდასთან უმაღლეს დონეზე, რომ სჯობს ვიომოთ მწვანე მაგიდასთან და ვიდავოთ, თუ ეს აუცილებელია, ვიდრე ვიომოთ შაშხანით, ხარბაზნით და სხვა იარაღით. საბედნიეროდ, ჩვენ დავინახეთ, რომ ჟენევის თათბირზე არ იყო ჩხუბი და რომ იქ შედარებით ადვილად გამონახეს საერთო ენა და რომ ამ მოლაპარაკებაში გაბატონებული იყო ახალი სულისკვეთება. მე არ ვამბობ, რომ სამუდამოდ ლიკვიდირებულია ის, რაც იყო, და რომ არასოდეს აღარ იქნება გაუგებრობა. იგი იქნება, მაგრამ დასაწყისი კარგია.

როგორ და რატომ გაჩნდა ეს ახალი სულისკვეთება? ახალი სულისკვეთებით გამსჭვალულია მთელი მსოფლიო. მთელი მსოფლიო — ადამიანები, ხალხები, ერები ამბობენ: ჩვენ არა გვსურს ომი. რა თქმა უნდა, მშვიდობის, დამშვიდების, თანამშრომლობის, თანაარსებობის ეს ახალი სულისკვეთება უნდა გამოვლინებულიყო ჟენევის თათბირზეც, რადგან ოთხი დიდი ხალხის ბელადები იქ მიდიოდნენ იმ განწყობილებით, რომელიც ჰქონდათ ხალხებს, და სურდათ მიეღწიათ რაიმე შედეგისათვის. ჩემი აზრით, ეს შედეგები კარგია. მე მეტს არ მოველოდი. მე რამდენადმე კიდევაც გამაკვირვა მიღწეულმა შედეგებმა—და ეს კარგია.

ამჟამად ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ მოვახდინოთ ჟენევის თათბირის წინადადებათა მოდიფიკაცია, სიბოლოოდ შევათანხმოთ ისინი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მაისში თქვენ წაიკითხეთ საბჭოთა კავშირის წინადადებანი განიარაღების შესახებ. თათბირზეც ამაზე იყო ლაპარაკი“.

შეეხო რა ამასთან დაკავშირებით ეიზენჰაუერის წინადადებას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საშხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ, პრეზიდენტმა ტიტომ დასძინა იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ ეს წინადადება გამოიყენონ როგორც პროპაგანდისტული ფანდი.

„მე მინდა ამასთან დაკავშირებით ვთქვა, რომ საზღვარგარეთ ზოგიერთი ელემენტები ცდილობენ ეს წინადადებანი გამოიყენონ პროპაგანდისტული მიზნით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათ სურთ წყალი აამღვრიონ და ძირი გამოუთხარონ იმ შეთანხმებულობას, რომელიც მიღწეულია ჟენევაში. ისინი აცხადებენ, რომ ეიზენჰაუერმა შეიტანა წინადადება ატომოტოგადაღებათა შესახებ, ხოლო რუსებს არც კი სურთ პასუხი გასცენ ამაზე, ეს კი თითქოს ნიშნავს, რომ რუსებს არ სურთ მშვიდობა. ეს სისულელეა, ეს ბოროტგანზრახული პროპაგანდაა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამას საერთო არა აქვს რა ამასთან, რაც ნამდვილად სურთ რუსებს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსებს მშვიდობა სურთ არა ნაკლებ, ვიდრე ამერიკელებს, არა ნაკლებ, ვიდრე ინგლისელ ხალხს, არა ნაკლებ, ვიდრე ფრანგ ხალხსა და ევროპის ყველა ხალხს, ავრეთვე მსოფლიოს ყველა ხალხს“.

პრეზიდენტმა ტიტომ თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხს.

„საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება წარმატებით ვითარდება. როცა საბჭოთა ხელმძღვანელები იყვნენ ბელგრადში, ისინი ადგილობრივ გაეცნენ საქმის ნამდვილ ვითარებას ჩვენში, დაინახეს, რომ ჩვენ რაღაც გაყიდული ქვეყანა როდი ვართ, დაინახეს, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის კაპიტალიზმის საფუძვლები, არ არის იმპერიალიზმის საფუძვლები, რომ ჩვენ არ გვიღალატნია მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეებისათვის, რომ ჩვენ თავისებურად ვაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენ მშვიდობისმოყვარე ქვეყანა ვართ და რომ ჩვენ საკუთარი შეხედულებანი საერთაშორისო პრობლემებზე, ეს შეხედულებები რეალისტურია, მშვიდობისმოყვარეულია და ხელს უწყობს ომის სხვადასხვა დამცველთა დაშოშმინებას. ისინი დარწმუნდნენ, რომ იუგოსლავია დამოუკიდებელი ქვეყანაა და რომ მას სურს კეთილი დამოუკიდებელი როგორც დასავლეთისაგან, ისე აღმოსავლეთისაგან, რომ მას განვითარების საკუთარი გზა აქვს და რომ იგი ვერაფერს მიხეცემს ნებას ჩაეროს მის საშინაო საქმეებში. ყოველივე ეს მათ დაინახეს, დაეთანხმნენ ამას, და ამიტომ ჩვენ გამოვნახეთ საერთო ენა და უფრო ადვილად შევუდექით ჩვენი შემდგომი ეკონომიური თანამშრომლობისა და სხვა დარგებში თანამშრომლობის საკითხების გადაჭრას.

ეს ჩამოსული დასავლეთის ზოგიერთმა ადამიანმა სხვადასხვანაირად განმარტა. სხვადასხვა საეკლესიო და სხვა რეაქციულმა ელემენტებმა იგი გამოიყენეს როგორც საბაბი. რომ თავს დაგვესხნენ, როგორც საბაბი, რომ ამტკიცონ, თითქოს ჩვენ გადავედით საბჭოთა, ე. ი. კომუნისტურ ბანაკში. ჩვენ კომუნისტები ვართ. მაგრამ ჩვენ არა გვსურს ვიყოთ რომელიმე ბანაკში, ჩვენ გვსურს ვიყოთ დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც აშენებს სოციალიზმს და რომელიც თავისი მაგალითით ცხადყოფს, სოციალიზმის მშენებლობის რომელი გზაა უმჯობესი — ჩვენი თუ მათი. თუ საბჭოთა კავშირში ან აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში არის რაიმე უკეთესი, ჩვენ სიამოვნებით გამოვიყენებთ, ხოლო მათ, თუ მოისურვებენ, შეუძლათ ზოგი რამ ისწავლონ ჩვენგან. ეს მათ თვითონ თქვეს, და ჩვენ ამას სავსებით ვეთანხმებით. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მივაღწევთ უყურადღებას დასავლეთის რეაქციული წრეების სხვადასხვა მითქმა-მოთქმას. ჩვენ არ შეგვიძლია ვისიმე სურვილის გამო თუნდაც პროპაგანდაში ვეომოთ ისეთ უზარმაზარ ძალას, როგორიც არის საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები... მაგ რატომ უნდა ვეომოთ ამიერიდან მათ, თუ თვითონ მათ არა სურთ გვეომონ... ესენი არიან ახალი ადამიანები, რომლებიც რეალურად უყურებენ მსოფლიოს განვითარებას და რომლებსაც სურთ, რომ სხვადასხვა შეცდომა და სხვადასხვა მცდარი ნაბიჯი და მოქმედება არ მეორდებოდეს, ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც უნდათ იარონ სხვა გზით. რადგან სურთ როგორც თავიანთი ქვეყნის ინტერესებისათვის, ისე მთელი მსოფლიოს ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებისათვის ცხადყონ, რომ ისინი ის არ არიან, რის გამო მათ ბრალს სდებს დასავლეთი, სურთ ცხადყონ, რომ მათი ქვეყანა სოციალისტური ქვეყანაა. ჩვენ არ მოგვეპოვება მიზეზი, რომ ერთად არ ვი

როთ ყველა ამ საკითხში, რომლებიც სასარგებლოა კაცობრიობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის და თვითონ ჩვენთვის. ამაში ჩვენ მათთან ერთად წავალთ, და ვინც რა უნდა თქვას“.

აღნიშნა რა შემდეგ, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ იუგოსლავიასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, ტიტომ განაცხადა:

„ეს ვერ გამოიწვევს ამ ქვეყნებთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის გაუარესებას... ჩვენ გვაქვს დიდი ეკონომიური შესაძლებლობანი და ამ ქვეყნებთან თანამშრომლობის კარგი პერსპექტივები, რომლებიც სასარგებლო იქნება როგორც ჩვენთვის, ისე მათთვის.

ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ურთიერთ ექსპორტი. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს გავუზიაროთ მიღწევები კულტურის დარგში და სხვა მიღწევები. ერთი სიტყვით, რაც უნდა თქვან დასავლეთში, ჩვენ გაბედულად და განუხრელად მივდგავართ აღმოსავლეთის ყველა ქვეყანასთან ნორმალიზაციისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარების გზით და ამავე დროს ერთი ნაბიჯითაც არ გადავუხვევთ ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას დასავლეთის ქვეყნებთან. ჩვენ გვსურს კარგი ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან, და არ არის არავითარი საბაბი, არავითარი მიზეზი ვინმეს ეშინოდეს იქ, რომ ჩვენ შეგვიძლია ჯერი დავუსვათ, მოვსპოთ ყოველივე ის, რაც იყო, რომ ჩვენ შეგვიძლია ვუღალატოთ ჩვენს სიტყვას და დავივიწყოთ ის დახმარება, რომელიც მთა გაგვიწიეს, და რომ ჩვენ შეგვიძლია ზურგი შევაქციოთ მათ. ეს არ შეესაბამება ჩვენს საგარეოპოლიტიკურ კონცეპციებს, რომლებიც აწერია ჩვენს დროშას, და უწინარეს ყოვლისა ამ პრინციპებს, რომ უზრუნველვყოთ თანაარსებობა და თანამშრომლობა თანასწორ საფუძველზე ყველა ხალხთან, რომლებსაც ეს სურთ.

ჩვენ გვსურს გავაუმჯობესოთ და არა გავაუარესოთ ჩვენი კარგი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან და ყველა დანარჩენ ქვეყანასთან. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მივცემთ ნებას, რომ ვინმე ჩაერიოს ჩვენს საშინაო საქმეებში“.

შემდეგ ტიტომ განაგრძო: „ზოგი ვინმე დასავლეთში ხედავ შეფასებას გვაძლევს არა მარტო საბჭოთა კავშირთან ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციის თვალსაზრისით, რაც თითქოს მოასწავებს ჩვენს გალასვლას ამ ბანაკში, არამედ აგრეთვე იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ უარყოფთ დასავლეთის სხვადასხვა მოთხოვნა, ისეთები, როგორიც არის შეერთება რომელიმე საშხედრო შეთანხმებასთან, რომელიც დაკავშირებულია ატლანტიკის პაქტთან, ან ბალკანეთის პაქტის გაძლიერება საშხედრო მხრივ და სხვ. მე მინდა ვთქვა, რომ ბალკანეთის პაქტი არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა იმ პერიოდში, როცა ჩვენ და ჩვენს პარტნიორებს საფრთხე მოგველოდა. ჩვენ შეკავშირნით იგი არა მარტო საშხედრო მიზნით. რა თქმა უნდა, ესეც იყო ნაგულისხმევი, მაგრამ ჩვენ შეკავშირნით იგი იმ მიზნით, რომ ეს პაქტი განვითარებულიყო ორგანიზაციად, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობიან თანამშრომლობას ჩვენსა და ბალკანეთის იმ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც ჩვენი ურთიერთობა წინათ ძალიან დაძაბული იყო. ერთი სიტყვით, ბალკანეთის პაქტი შეკავშირნით იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაგვეწიოს ბალკანეთში თოფისწამლის სარდაფის შექმნისათვის. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება ბალკანეთის საკონსულტაციო ასამბლეის შექმნის შესახებ ჩვენ მივიღეთ ინიციატივა — ჩვენ პაქტის სამხედრო ელემენტს ორიგინალი ბას

პარიზის პრესა ინგლისში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრების შესახებ

პარიზი, 29 ივლისი. (საკდესი). თუმცა გუშინ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი ალჟირის მდგომარეობაზე, პარიზის საღამოს გაზეთებმა ძირითადი ყურადღება მიაქციეს ცნობას, რომ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს ა. იდენის მიწვევა ჩავიდნენ ინგლისში 1956 წლის გაზაფხულზე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ცნობამ „სიხარული გამოიწვია მთელ ინგლისში“.

გაზეთმა „მონდმა“ ცნობას ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში მოსავალი გამგზავრების შესახებ სარედაქციო სტატია მიუძღვნა.

საბჭოთა ხელმძღვანელების გამგზავრება ლონდონს, წერს გაზეთი, ნიშანია რაღაც უფრო მეტისა, ვიდრე შემდგომი შენელებაა.

კათოლიკური გაზეთი „კრუა“, მოგვაგონებს რა, რომ ეენევის თათბირზე საბჭოთა ხელმძღვანელებმა ხელი შეუწყეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რამაც მნიშვნელოვანწილად წარმოშვა ნდობა და იმედი ხალხთა შორის, აცხადებს: „იმედი ვიქონიოთ, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრა იმავე ატმოსფეროში მოხდება“.

გაზეთი „ფრანს-სუარი“ საბჭოთა ხელმძღვანელების ლონდონს გამგზავრებას, ეენევაში ამერიკა-ჩინეთის მომავალ მოლაპარაკებასთან ერთად, აფასებს როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის სწრაფ გაუმჯობესებას. „რამდენიმე დღეში, — წერს გაზეთი. — სსრ კავშირისა და დასავლეთის ურთიერთობა სავსებით შეიცვალა. ცივ ომში „დაზგების“ შემდეგ, რაც ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა 23 ივლისს ეენევის ტბის ნაპირზე დადეს, ყოველდღე მოდის სულ ახალი ცნობები შენელების შესახებ“. „ფრანს-სუარი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ცნობებს ყველგან ენთუზიაზმით ხვდებიან.

საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ნოტები სამხრეთ ვიეტნამის მთავრობისადმი

პარიზი, 28 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან გადმოგვცემს:

საფრანგეთის გენერალურმა კომისარმა ინდოჩინეთში გენერალმა პიერ ჟაკმ, დიდი ბრიტანეთის ელჩმა ჰიუ სტივენსონმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ფრედერიკ რეინჰარდტმა 26 ივლისს დემარში გააკეთეს პრემიერ-მინისტრ ნგო დინ დიემის წინაშე და ურჩიეს მას დაიწყოს წინასაარჩევნო კონსულტაცია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომლებიც ნგო დინ დიემის რეზიდენციაში ცალცალკე მიიღეს, გადასცეს იდენტური ნოტები და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობას მოუწოდეს — უპასუხოს წერილზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ფამ ვან დონგს, რომელმაც წინადადება წამოაყენა დაიწყონ კონსულტაცია საყოველთაო არჩევნების მოწყობის მიზნით ეენევის შეთანხმებათა შესაბამისად.

ნოტაში ხაზგასმით არის აღნიშნული ის მნიშვნელობა, რასაც სამი სახელმწიფო ამ შეთანხმებათა შესრულებას ანიჭებს.

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

სპენსერი (აიოვას შტატი), 27 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). 25 ივლისს საბჭოთა დელეგაციის წევრთა ერთი ნაწილი ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების მეტად დიდ ფირმას „ჰასტ ტომასს“, რომელიც აწარმოებს ჰიბრიდული სიმინდის თესლს. დელეგატებმა დაათვალიერეს 720 ჰექტარი სიმინდის ნათესი. თესლის საწმენდი და დასახარისხებელი მანქანები, აგრეთვე კომბინირებული საკვების ქარხანა. ჰიბრიდული თესლის წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე საუბრის შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. მაცკევიჩმა ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — ჰარსტი მიიწვია წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში. ჰარსტმა მიიღო მიწვევა და თქვა, რომ დიდი ხანია ოცნებობს ნახოს საბჭოთა კავშირი.

26 ივლისს საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრები ეწვივნენ ტეფორდ ტენიუსის ფერმას, ქალაქ ლოუერენსის ახლოს.

საბჭოთა დელეგატების შესახვედრად შეიკრიბა ახლომახლო ფერმერთა ათობით ოჯახი. დელეგაციის წევრებსა და ფერმერებს შორის ამართება გაცხოველებული საუბარი. ფერმერებს აინტერესებთ ბევრი საკითხი, დაწყებული იმით, თუ როგორი ამინდებია საბჭოთა კავშირში, და დამთავრებული კოლმეურნეთა შემოსავლით.

„ჩვენ გვიხარია თქვენი დელეგაციის ჩამოსვლა, — ამბობს ერთ-ერთი ფერმერი, — და ვფიქრობთ, რომ ფერმერთა დელეგაციების გაცვლა კარგი საქმეა. ბევრ ჩვენს ფერმერს სურს ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში“.

რაც უფრო მეტი ადამიანისათვის ხდება ცნობილი, რომ აიოვას შტატში საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია იმყოფება, მით უფრო მეტ მიწვევას უგზავნიან მას. ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან მიღებული წერილები გროვდება აიოვას შტატის კოლეჯში. კოლეჯის წარმომადგენელმა განუცხადა დელეგატებს: „ჩვენ იმდენი მიწვევა დაგვიგროვდა, რომ თქვენ 25 წელიც არ გეყოფათ, რომ ეწვიოთ ყველას, ვისაც სურს გიხილოთ თქვენ თავის სახლში“.

საღამოს დელეგაცია ჩამოვიდა ქალაქ სპენსერში, სადაც სასტუმროს ახლოს მას შეხვდა 700-მდე ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს. გზადაგზა დელეგაცია ეწვია ქალაქ ლოუერენსს და სიმის დიდ ფერმას.

ზემო ხორავაჭიაში და ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყების წლისთავის გამო

ბელგრადი, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, 27 ივლისს იუგოსლავიის რესპუბლიკებმა — ხორვატიამ და ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ აღნიშნეს ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ სახალხო აჯანყების მე-14 წლისთავი.

ხორვატიაში ძირითადი დღესასწაული აჯანყების წლისთავის გამო გაიმართა ქალაქ კარლოვაცში, მდინარე კუპაზე. აქ მიტინგზე, რომელსაც 200 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, გამოვიდა იუგოსლავიის პრეზიდენტი ტიტო. ქალაქ კარლოვაცში გაიხსნა დაღუპულ მეომართა ძეგლი. დღესასწაული დამთავრდა ფესტივალით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხორვატიისა და სხვა რესპუბლიკების საუკეთესო მსახიობთა ძალებმა.

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მთავარი ზემი მიმდინარეობდა პატარა ქალაქ ბილეცაში, სადაც მიტინგზე გამოვიდა ამ რესპუბლიკის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე ჯური პუცარ-სტარი. ბილეცაში აგრეთვე გაიხსნა დაღუპულ მებრძოლთა ძეგლი. გარდა ამისა, სპეციალურ ბილეთებზე ამ საკანონმდებლო ორგანოს ... ...